ქ. თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №1

13 დეკემბერი, 2017 ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი N2
17:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
5. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
6. დავით რურუა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-031734272-03, 08.12.2017).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
- **მამუკა მუმლაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი.
- **მამუკა კობახიძე** - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი.

კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიასთან ერთად.

თ.კობახიძე - გახსნა კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

გ.თალაკვაძე - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 861 609,0 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტი პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 46 398.9 ათასი ლარით, მათ შორის გაიზარდა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათასი ლარით, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა 3 298.9 ათასი ლარით და ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის სახით აისახა 43 000,0 ათასი ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 810 009.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ✓ **გადასახადები 250 000,0 ათასი ლარი**
  - საშემოსავლო გადასახადი 90 000,0 ათასი ლარი.
  - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 129 000,0 ათასი ლარი.
  - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.
  - მიწაზე ქონების გადასახადი 15 000,0 ათასი ლარი.
- ✓ **გრანტები 389 329.3 ათასი ლარი**
  - გათანაბრებითი ტრანსფერი 345 806.9 ათასი ლარი.
  - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 62,4 ათასი ლარი.
  - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460.0 ათასი ლარი.
  - სპეციალური ტრანსფერი - 43 000,0 ათსი ლარი.
- ✓ **სხვა შემოსავლები 170 779,7 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - შემოსავალი საკუთრებიდან – 15 071,2 ათასი ლარი.
  - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 64 000,0 ათასი ლარი.
  - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 45 000,0 ათასი ლარი.
  - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 26 500,0 ათასი ლარი.
  - სხვადასხვა შემოსავლები – 20 208,5 ათასი ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 130 531.3 ათასი ლარი.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული
- შენობების გამაგრება 195 642.1 ათასი ლარი.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 88 089.3 ათასი ლარი.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 2 990.0 ათასი ლარი.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 29 925.7 ათასი ლარი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 189 539.5 ათასი ლარი.
- განათლება 117 445.6 ათასი ლარი.
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 28 954.0 ათასი ლარი.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 3 158.3 ათასი ლარი.
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 333.3 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

შ.ოგბაიძე - მადლობა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს, გლდანის რაიონში განხორციელებული სამუშაოებისათვის. კერძოდ, 11 ადგილზე მოხდა ქვეითთა გადასასვლელების ადაპტირება. სასურველია ბიუჯეტში ასახული იყოს თანხა საგზაო ნიშნების მონიტორინგთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როდესაც საგზაო ნიშნების ხილვადობა იზღუდება, ვინაიდან საგზაო ნიშნებს ეფარება სარეკლამო აბრა ან ხის ტოტი. გარდა ამისა, თბილისი ნელ-ნელა ხდება ელექტრო ავტომობილების ქალაქი, ამიტომ ვისურვებდი, რომ ბიუჯეტში აისახოს ავტომობილების დასამუხტი მოწყობილებების დამონტაჟების წახალისების საკითხი.

გარდა ამისა, საინტერესოა ველობილიკების და ტრამვაის მოწყობის საკითხი. მეტროსადგურ სარაჯიშვილთან შესაძლებელია ველობილიკის მოწყობა. ნაწილობრივ მოგვარებულია მოსაცდელების მოწყობის საკითხი. კარგი იქნება თუ გავზრდით შუქნიშნების რაოდენობას.

მ.მუმლაძე - მომავალ წელს გაგრძელდება ახალი მოსაცდელების დამონტაჟება. რაც შეეხება საგზაო ნიშნებს, ხშირად არის ვანდალური ფაქტები, გამომდინარე აქედან აღდგენითი სამუშაოები გათვალისწინებულია ბიუჯეტში. მისაღებია ველობილიკის მოწყობის საკითხი მეტროსადგურ სარაჯიშვილზე. რაც შეეხება ტრამვაის, მოსკოვის გამზირზე გაკეთებულია პროექტი და წარედგინება მთავრობას. გარდა ამისა, ტრამვაის ხაზით შესაძლებელია პეკინის გამზირს დაუკავშირდეს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი.

გ.გაბაშვილი - ქალაქში საცობების მოგვარების საუკეთესო გზას წარმოადგენს ტრამვაი. ბუნებრივია, რომ თბილისის ბიუჯეტი ვერ მოერევა ქალაქის მასშტაბით ტრამვაის დანერგვას, მაგრამ კარგი იქნება თუ პროექტირების თანხა ჩაიდება ბიუჯეტში. ბევრად უფრო ეფექტური იქნება ტრამვაი ვიდრე მეტრო.

მ.მუმლაძე - ამჟამად თბილისის სამარშრუტო ქსელის მთლიან მოდელზე მუშაობს „სისტრა". „სისტრას" პროექტთან დაკავშირებით, მოწვეული გვყავს ბრიტანელი მრჩეველი. შესაძლებელია ტრამვაის ხაზით დიდი დიღმის დაკავშირება დიდუბესთან. პრობლემური იყო „დაფის" მარკის ავტობუსები. აღნიშნული ავტობუსები გარკვეულწილად დააბალანსა მიკროავტობუსებმა, მიუხედავად ამისა მგზავრების რაოდენობა მაინც საკმაოდ ბევრია. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა არის ე.წ. "ბას ლაინი". პოლიტიკა არის შემდეგნაირი, რომ მგზავრთა ნაკადი გადანაწილდეს მეტროსა და ავტობუსებზე. ტრანსპორტის სამსახური ძალიან დაიტვირთა. მაგალითისთვის, როდესაც შენდება კორპუსი, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა უნდა დადოს დასკვნა, თუ როგორ დაიტვირთება გზა და ა.შ სატრანსპორტო სქემის ინტეგრირება მოხდება თბილისის გენერალურ გეგმასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების (12-031734272-03, 08.12.2017) პროექტთან დაკავშირებით სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დასკვნის პროექტი, კერძოდ:

პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 861 609,0 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტი პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 46 398.9 ათასი ლარით, მათ შორის გაიზარდა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათასი ლარით, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა 3 298.9 ათასი ლარით და ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის სახით აისახა 43 000,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენისათვის გათვალისწინებულია **130 531, 3** ათასი ლარი. მათ შორის:

- 01 01 - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება - **95 926,5 ათასი ლარი;**

- 01 02 -ტრანსპორტის განვითარება - **34 604,8 ათასი ლარი:**

✓ **01 02 01** - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - **12 261,6 ათასი ლარი:**

ქვეპროგრამის მიზანია ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილებში მარშრუტებზე მომუშავე M3 კატეგორიის ავტობუსების ფაქტიური მიმოსვლის ინტერვალის შესახებ თბილისის მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება. დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება, დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება, შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია, ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტით და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული დასახლებების, სოფლებისა და დაბის გზებსა და გზაჯვრედინებზე ლითონის ძელებიანი ზღუდარების შეძენა-დამონტაჟება, დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებელის დამონტაჟება, ქ.თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ მრუდეებზე (მოსახვევებში) სფერული სარკეების მოწყობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე ელექტრონული ტაბლოების შეძენა და დგარებით დამონტაჟება, ელექტრონული ტაბლოების ძაბვის გამანაწილებელ ქსელებზე მიერთების სამუშაოების განხორციელება, ავტობუსების გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა, ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება.

✓ **01 02 03** - მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა - **10 872,0 ათასი ლარი:**

ქვეპროგრამის მიზანია თბილისის მეტროს ზოგიერთი სადგურის ვესტიბიულების განახლება, რეკონსტრუქცია. პროექტის მიხედვით, იგეგმება მ/სადგურების - ვაგზლის მოედანი 1, 2, 3; თავისუფლების მოედანი, რუსთაველი, მარჯანიშვილი, ისანი, წერეთელი, სამედიცინო უნივერსიტეტი და ნაძალადევი ზედა და ქვედა ვესტიბიულების კაპიტალური შეკეთების პროექტის, ასევე კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ჩასატარებლად მომსახურების შესყიდვა.

განახლებული მეტროს სადგურებით უზრუნველყოფილი იქნება დედაქალაქის მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

- ✓ **01 02 04** - ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება - **4 000,0** ათასი ლარი:

ქვეპროგრამის მიზანია, ,,ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე, ქ.თბილისის მერიის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.

- ✓ **01 02 08** - საბაგირო ტრანსპორტის განვითარება - **7 471,2** ათასი ლარი:

ქვეპროგრამის მიხედვით, იგეგმება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობა. დაგეგმილია საბაგირო გზის ორი სადგურის მოწყობა, ხუთი საყრდენი ანძით, გზის სავარაუდო სიგრძე შეადგენს 980 მეტრს. მგზავრებს მოემსახურება 20 გონდოლა, საშუალოდ თითო 6 ადამიანზე. გზის გამტარუნარიანობაა 1100კაც/სთ. საბაგირო გზის ზედა სადგური (მთაწმინდის პარკში) შენდება ახალი თანამედროვე არქიტექტურით ხის მასალით შეფუთული, ქვედა სადგურზე (მეცნიერებათა აკადემიის ეზო) მოხდება ძველი სადგურის შენობის აღდგენა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა. ,,მთაწმინდის პარკთან" დამაკავშირებელი საბაგირო უზრუნველყოფს ქალაქში ხმაურის და გამონაბოლქვის შემცირებას, სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვას და მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას.

- ✓ 06 02 11 - საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტროთი) და საბაგირო გზით ადგილობრივი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასოდ ან შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - **60 000, 0 ათასი ლარი:**

ქვეპროგრამით უზრუნველყოფილია, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით ცალკეული კატეგორიების უფასო

ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფით მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება.

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში სატრანსპორტო სისტემის განვითარების მიმართულებით, გასატარებელია არაერთი ღონისძიება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის განტვირთვას, არსებული საცობების შემცირებას, პარკირების სისტემის მოწესრიგებას, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო, კომფორტულ, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში გადაადგილებას და სხვა.

მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება სატრანსპორტო სისტემის მოსაწესრიგებლად დაგეგმილ ღონისძიებებს. უნდა დაიწყოს ჯანსაღი ტრანსპორტის პოლიტიკის გატარება და ამ მიზნით, შესაბამისი სატრანპორტო საშუალებების პოპულარიზაცია.

სატრანსპორტო სისტემის განვითარებას, ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან განტვირთვას, ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას და ქვეითების უსაფრთხო გადაადგილებას ხელს შეუწყობს ასევე, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით დაგეგმილი ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: ლაგუნასთან გზის გაფართოება (01 01 01), ვაშლიჯვრიდან გელოვნის გამზირზე ჩამომავალი ესტაკადის (02 01), კარტოზია-ცინცაძის ქუჩების გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის (02 01), აღმაშენებლის ხეივანში, ტოიოტას ცენტრის მიმდებარედ საფეხმავლო ხიდის (02 01) მოწყობა და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0).

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**